

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გადაწყვეტილებით, ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანის ოჯახის ერთ-ერთ წევრზე სამსახურის ბიუჯეტის ასიგნებებიდან გაიცემა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით შემდეგი პირების გარდაცვალებისას:

- ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილის;
- ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის;
- გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის;

დახმარების მიღების უფლების მქონე პირები

დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ გარდაცვლილის მეუღლე, შვილ(ებ)ი და მშობლები. აღნიშნული პირების არყოლის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ დახმარების მიმღებ პირს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ამ წესით შესაბამისად დახმარების მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილის სხვა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი თანმიმდევრობით.

დახმარების მისაღებად წარმოსადგენი საბუთები

დახმარების მიღების მიზნით გარდაცვლილის ოჯახის წევრმა სამსახურში უნდა წარადგინოს: განცხადება სამსახურის დირექტორის სახელზე, გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობა (მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, ცნობა პოლიციიდან მოწმობის დაკარგვის შესახებ), განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

გარდაცვლილთან ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული ნათესაური კავშირის დამადასტურებლად ან ანდერძით მემკვიდრეობით დახმარების მიღების მიზნით სამსახურში აგრეთვე უნდა იქნეს წარმოდგენილი:

- ა) გარდაცვლილის შვილის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლი;
- ბ) გარდაცვლილის მეუღლის შემთხვევაში, ქორწინების მოწმობის ასლი;
- გ) გარდაცვლილის მშობლის შემთხვევაში, გარდაცვლილის დაბადების მოწმობის ასლი;
- დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული კანონით მემკვიდრის შემთხვევაში, შესაბამისი ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) ანდერძით მემკვიდრის შემთხვევაში, სამკვიდრო მოწმობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2016 წლის 22 თებერვლის №80 ბრძანება